10 რჩევა, რაც უნდა გვახსოვდეს აბრეშუმის ჭიის წარმატებული გამოზრდისთვის

1. მოიძიეთ ხარისხიანი აბრეშუმის კვერცხი

აბრეშუმის კვერცხი/ჭია არ უნდა იყოს დაავადებული. ამისათვის, აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ მნიშვნელოვანია მოიძიოთ აბრეშუმის კვერცხი სანდო მომწოდებლისგან.

2. მოაწყეთ საჭიე ბინა წესების დაცვით

საჭიროა გქონდეთ შესაბამისი სივრცე და ნივთები.
გამოსაკვები ოთახი უნდა იყოს მშრალი, განიავების შესაძლებლობით, შესაბამისი თბოიზოლაციით მოწყობილი ისე, რომ შესაძლებელი იყოს სტაბილური ტემპერატურის შენარჩუნება.

3. მიაქციეთ ყურადღება ჰიგიენას

აუცილებელია სისუფთავის დაცვა საჭიე ბინაში.
რეგულარულად გაასუფთავეთ ბინა, რათა თავიდან აიცილოთ დაავადებები.

4. საკვებად გამოიყენეთ ახლად-დაკრეფილი, ნორჩი თუთის ფოთოლი

აბრეშუმის ჭია გამოკვებეთ მხოლოდ ახალი ფოთლით.
თავი აარიდეთ დამჭკნარი, ძველი, ან შეწამლული ფოთლის გამოყენებას.

5. დაიცავით კვების განრიგი

შეუსაბამეთ ფოთლის ზომა აბრეშუმის ჭიის ასაკს და გამოკვებეთ ჭია დღეში საშუალოდ 4-5 ჯერ.

6. უზრუნველყავით ჰაერიზაცია ჭიის გასაშლელ თაროებზე

გამოიყენეთ ბადისებრი, დაწნული თაროები, რათა ჰაერი თავისუფლად მოძრაობდეს თაროს ზედაპირზე.

7. ხშირად გაასუფთავეთ ჭიის გასაშლელი თაროები

აბრეშუმის ჭიას გამოუცვალეთ ნაძირი, რათა თავიდან აიცილოთ დაავადებები

8. მოეპყარით ჭიებს სიფრთხილით

თავიდან აირიდეთ ჭიებთან შეხება, განსაკუთრებით კი კანის ცვლისა და ძილის პერიოდში.

9. ყურადღება მიაქციეთ დაავადებების ნიშნებს

დაავადების ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გამოაცალკევეთ ინფიცირებული ჭიები ჯანმრთელი ჭიებისგან.

10. ფრთხილად გამოკრიფეთ აბრეშუმის პარკი ცახიდან

დაელოდეთ, რომ ჭიამ ბოლომდე დაასრულოს პარკის ახვევა, შემდეგ კი ფრთხილად გამოკრიფეთ ცახიდან.

GSA Georgian Silk Association
საქართველოს მეაბრეშუმეთა ასოციაცია